პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

СССР

СТРАНА СОВЕТОВ

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

ГАЗETI გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 11 (19453) ◆ სამშაბათი, 14 იანვარი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ინიციატორთა დევიზით:

## ეიმდირეთ წლის ორი თვის გეგმა — სკკპ XXVII ყრილობის გაახლნის დღისათვის!

## ᲘᲛᲐᲢᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐᲛ

**ტყიბული.** (საკ. კორ.). გრაფიკის გასწრებით შრომობს ტყიბულის სამრეწველო საწარმოების კოლექტივთა აბსოლუტური უმეტესობა. წარმატებას შარშან ჩაეყარა საფუძველი. გასული წლის პროდუქციის გამოშვების გეგმა ვადამდე შესრულდა. საკმაოდ კარგი შედეგია მოპოვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალების მაჩვენებელმა 6 პროცენტით გააჭარბა გათვალისწინებულს, ხოლო თითოეული მუშის საშუალო გამომუშავებამ 265 მანეთი შეადგინა. გეგმის გადამეტებით სამი მილიონი მანეთის პროდუქცია დამზადდა.

ქალაქის მრეწველობის წინსვლაში დიდი წვლილი შეიტანეს ლენინის, ორჯონიკიძისა და სტალინის სახელობის შახტების, ტყიბულისა და ორპირის ჩის ფაბრიკების, კერსების გრანიტის ქარხნისა და ხორცკომბინატის კოლექტივებმა.

ეს საწარმოები კვლავ მოწინავეთა რიგებში არიან და ღირსეულად ხვდებიან ქვეყნისა და საქართველოს კომუნისტთა დიდ ფორუმებს. ტყიბულის საწარმოთა უმეტესობა, ისევე როგორც თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის ამწყობ ზეინკალთა, თბილისის „ნარიყალას“ № 3 საამქროს, თბილისის საფუვრის ქარხნის ბრიგადები, მიმდინარე წლის ორი თვის გეგმას 25 თებერვლისათვის შეასრულებს.

## ᲣᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ

**ᲐᲒᲑᲐᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘᲡ** რაიონის მშრომელებმა ფართოდ გააჩაღეს საყრილობო სოციალისტური შეჯიბრება და პირნათლად შეასრულეს შარშანდელი წლის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი. საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის წლიური გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით, ღორისა — 103 პროცენტით, სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვისა — 105 პროცენტით, რძისა — 106 პროცენტით, რძის წარმოებისა — 104 პროცენტით.

ახალი, მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წელი კარგად დაიწყეს მეცხოველეებმა.

## ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲐᲖᲔ!

**თბილისის** ჩაის საწონი ფაბრიკის კოლექტივმა ერთსულოვნად გამოთქვა მზადყოფნა, რომ მოაწყოს შაბათობა სკკპ XXVII ყრილობის აღსანიშნავად.

აქ გადაწყვიტეს, რომ ამ დღეს აწარმოონ 300 ათას მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია, ეს ძირითადად იქნება უმაღლესი ხარისხის ჩაი, არაერთხელ რომ მიუღია ოქროს მედლები და პრიზები საერთაშორისო გამოფენებსა თუ ბაზრობებზე. „ექსტრა“, „საქართველოს თაიგული“, „მწვანე“ და საწარმოს სხვა სახეობათა პროდუქცია დიდად პოპულარულია საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ.

## ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲔᲑᲡ — ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲜᲝᲒᲐᲗᲔᲑᲘ!

**ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ** ქარხანა „ელექტროვიბრომანქანის“ პროდუქცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მეთორმეტე ხუთწლედში, ქარხანა დაადგა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კურსს. ვიბრაციის პრინციპით მომუშავე მანქანები მნიშვნელოვნად ამსუბუქებს მრავალი შრომატევადი სამუშაოს მექანიზაციასა და ავტომატიზაციას. მათ ფართოდ იყენებენ მანქანათმშენებლობაში, მშენებლობაზე, მეტალურგიულ, ქიმიურ, კვების, სამთამადნო, ქვანახშირის, ხის დამმუშავებელ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში.

წარმოების მუშაკები სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის ემზადებიან და დიდი აღმავლობით შრომობენ, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებენ ცვლის დავალებებს.

საყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებას ამ დღეებში სათავეში ჩაუდგა საწარმოს ახალგაზრდობა. მოწინავეთა შორის სამართლიანად ასახელებენ ელექტროშემდუღებელს, კომკავშირელ იური ქოქოევს (ფოტოზე). მას დაევალა ახალი პროდუქციის — ავტომატური საშახტე ღარებისა და უნივერსალური ვიბრომკვებავების დამზადება.

ლ. გუსოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲬᲘᲜᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲔᲢᲐ�პᲘ

ᲒᲐᲡᲚᲔᲑᲘᲡᲐᲜ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის ამწყობ-ზეინკალთა, თბილისის ფაბრიკა „ნარიყალას“ № 3 საამქროსა და თბილისის საფუვრის ქარხნის ბრიგადების ინიციატივა, რომლებმაც ქვეყნისა და საქართველოს კომუნისტთა დიდი ფორუმების ღირსეულად შეხვედრის მიზნით გადაწყვიტეს მიმდინარე წლის ორი თვის გეგმა სკკპ XXVII ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულონ და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადეთა ბრიგადის — სოციალისტური შრომის გმირის, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ო. ლომაძის ბრიგადის თაოსნობა, რომელმაც იკისრა სკკპ XXVII ყრილობის დაწყებამდე ერთი სამუშაო ცვლა იმუშაოს უსასყიდლოდ, გამომუშავებული სახსრები გადარიცხოს მშვიდობის ფონდში.

ძნელია გადაჭარბებით შეაფასო ამ შესანიშნავ წამოწყებათა ზნეობრივი და პოლიტიკური მნიშვნელობა. ზემოხსენებულმა კოლექტივებმა დაამტკიცეს, რომ შბად არიან თავდადებულად იშრომონ პარტიის მიზანდასახულობათა განხორციელებისათვის, საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ-სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების პროექტით დასახული ამოცანების უთუო გადაწყვეტისათვის, ჩვენი დიადი სამშობლოს ეკონომიკისა და თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

თბილისელთა და რუსთაველთა ინიციატივით, ფაქტობრივად, ყრილობისწინა სოციალისტური შეჯიბრების გადამწყვეტი ეტაპი დაიწყო, და სასიამოვნოა, რომ წამოწყებები დაუყოვნებლივ აიტაცეს მოწინავე სამრეწველო ობიექტების — „საქსამოიქმმრეწვის“, „ელექტროაპარატის“, „ელმავალმშენებლის“ სანარმოო გაერთიანებებმა, თეთრ რუსთავის მეტალურგიული, ქუთაისის ელექტრომექანიკური, ბათუმის მანქანათსაშენებელი და „სოხუმელსაწყოს“ ქარხნების, სხვა ქალაქებისა და რეგიონების საწარმოთა საუკეთესო ბრიგადებმა.

პატრიოტული თაოსნობები პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტის ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს. ცხადია, მათი ფართო გავრცელების ორგანიზატორები პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები უნდა გახდნენ, ინიციატივებს არც ერთმა კომუნისტმა არ უნდა აუაროს გვერდი.

ყრილობისწინა შრომითი მეტოქეობა ისე უნდა წარმართოთ, რომ უცილობლად გადავწყვიტოთ გასული წლის დეკემბრის დამლევს გამართული პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მიერ დასახული ამოცანა. რით გამოიხატება იგი? საქმე ის არის, რომ გადამუშავებული მრეწველობისათვის გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ნაკლებობის გამო იანვარ-თებერვლის გეგმა საშუალო წლიურზე ნაკლებია. იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდეთ ქვეყნისა და საქართველოს კომუნისტთა დიდ ფორუმებს, წარმოების მოცულობის ზრდის ტემპი საშუალო წლიურზე სწრაფი უნდა იყოს.

შეჯიბრების გადამწყვეტ ეტაპზე სწორედ ამ მიზანს უნდა მივაღწიოთ. საამისო რეზერვები აქვთ ყველა ქალაქს, რაიონს და გადამუშავებელი მრეწველობის დარგებს. ასეთ სიტუაციაში ერთ-ერთი თავადური ადგილი, რაღა თქმა უნდა, აგროსამრეწველო კომპლექსს განეკუთვნება. მისმა ხელმძღვანელობამ მიზანმიმართულად უნდა გამანაწილოს რესურსები და ისე განსაზღვროს საგეგმო დავალებები, რომ არ დაუშვას წარმოების მოცულობის შემცირება. რთული მდგომარეობიდან თავის დასაღწევად რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებით, საგანმანმანმანებელ, უწყებებს, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებს წლის პირველი ორი თვის გეგმის წარმატებული შესრულებისათვის დამატებითი დავალებები მიეცათ. ეს პარტიულ დავალებად უნდა მივიჩნიოთ და ყველაფერი ვიღონოთ მათი უთუო შესრულებისათვის. ეს იქნება პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების პოლიტიკური სიმწიფის გამოცდა, ამით დამტკიცდება, შესწევთ თუ არა უნარი პასუხსაგებ მომენტში დარაზმონ კოლექტივები მთა წინაშე დასახული ამოცანის გადასაჭრელად.

ახლა საჭიროა შევიმუშაოთ ღრმად გააზრებული, ზუსტად აწონ-დაწონილი ყოველდღიური სამოქმედო პროგრამა. ზუსტ რიტმს, ყოველდღიური მკაცრი სამუშაო, რეჟიმენტის დაცვას ხელი უნდა შეუწყოს სოციალისტური შეჯიბრების, შრომის სწორი ორგანიზაციის უზრუნველყოფამ და, განსაკუთრებით, დისციპლინის ყოველმრივმა განმტკიცებამ. მხედველობაში გვაქვს, როგორც შრომისა და ტექნოლოგიური, ისე საგეგმო და სახელმეკრულებო დისციპლინა. შარშან, მარტო ცხრა თვეში, სამრეწველო საწარმოთა საგეგმო დისციპლინა დაირღვა, ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, კორექტირებული იყო 172-ჯერ, რის შედეგადაც ათობით მილიონი მანეთის პროდუქცია დაგვაკლდა. რაც შეეხება სახელშეკრულებო დისციპლინას, იგი დაირღვა 4730-ჯერ, საწარმოებს 8300 პრეტენზია წარედგინა.

უფრო ქმედითი უნდა გახდეს სოციალისტური შეჯიბრება მშენებლობაზე. შრომითი მეტოქეობის მთავარი მიზანი უნდა იყოს საობლოო შედეგის მიღწევა. როგორც ზემოხსენებულ პარტიულ სამეურნეო აქტივის კრებაზე აღინიშნა, ვერ ვიცავთ ეკლკეული ობიექტების ამენების, ძირითადი ფონდებისა და სიმძლავრეების საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადებს, განსაკუთრებით ხელის შემშლელია. ურიტმო მუშაობა.

წლეულს მშენებლებმა სოლიდური მოცულობის სამუშაოები უნდა შეასრულონ. კაპიტალური დაბანდების მოცულობა ამ დარგში, შარშანდელთან შედარებით, ოთხი პროცენტით გაიზარდა და ეს ცოტა რიდია. პრაქტიკულად, მშენებლების გამართულ მუშაობაზეა დამოკიდებული ეკონომიკის ყველა დარგის შემდგომი წინსვლა. სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა ღრმად უნდა გააანალიზონ თავიანთი შეცდომები და აღარ დაუშვან მომავალში. მშენებლობის ვადების შესამცირებლად, მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის მკვეთრად უნდა გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება, ვონივრულად გამოვიყენოთ ეკონომიკური ბერკეტები და სტიმულირების ფორმები.

დისციპლინის განმტკიცებისათვის უნდა წარიმართოს სოციალისტური შეჯიბრება საერთოდ ტრანსპორტზე და კერძოდ რკინიგზაზე. მიუხედავად იმისა, რომ რკინიგზელები გადაჭარბებით ასრულებენ ტვირთბრუნვის გეგმებს და ამცირებენ ვაგონების მოცდენას, მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების მხრივ აქ უწესრიგობაა, გახშირდა ავარიები და წუნი.

როგორც ცნობილია, გასული წლის თერმეტი თვის მონაცემებით რესპუბლიკის 70 სამრეწველო საწარმომ ვერ შეასრულა გეგმა და სახელმწიფოს 92,4 მილიონი მანეთის პროდუქცია დააკლო. მათ შორის გასლავთ რუსთავის „აზოტისა“ და „ქიმბოჭკოს“ საწარმოო გაერთიანებები, „საქეთეზმრეწვი“, საქართველოს ბიოკომბინატი და სხვები. იმედია ზემოხსენებული საწარმოები ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ უთუოდ შეასრულონ როგორც ორი თვის, ისე წლიური გეგმები, საფუძველს შექმნიან შეუფერხებელი მუშაობისათვის მეთორმეტე ხუთწლედში. სხვანაირად აღარ შეიძლება. საერთო შეკადინებით უნდა ვამარავლოთ დადებითი ძვრები რესპუბლიკის სასაღლო მეურნეობაში და კერძოდ, მრეწველობაში, მშენებლობაზე და ტრანსპორტზე.

ყრილობისათვის მზადების პერიოდში, ისევე როგორც წინათ, წინა პლანზე უნდა წამოიწიოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასთან, შრომის ნაყოფიერების გადიდებასთან, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასთან, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან, მოჰჭირნეობის რეჟიმის მკაცრ დაცვასთან, საწარმოო ხიმძლავრეების ათვისებასთან და ფონდეკუფების ზრდასთან დაკავშირებული მაჩვენებლები. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა წლეულს მაძღლზე დაბრკოლებებთან ჭიდილის დიდი გამოცდილება შეიძინეს და ეს უცილობლად დაეხმარება მათ ახალ გამარჯვებაში.

პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან „ყოველდღიურად იბრძოლონ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზებულად წარმართვისათვის, აღმოფხვრან ამ მხრივ ჯერ კიდევ არსებული ფორმალიზმი. მთავარი ამოცანა ის არის, რომ ღირსეულად შეეხვდეთ ლენინური პარტიის XXVII ყრილობას.

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატები

# მოწინავე პოზიციებზე

**ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ** საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიონულ კონფერენციაზე დელეგატთა შორის დასახელეს საკოლმეურნეო შრომის ვეტერანი, ღვაწლმოსილი როდინაულელი კომუნისტი, 81 წლის ტატიანა გაჩეჩილაძე, დელეგატები მას მეუხარე ტატით მიხვდნენ. რაიონის კომუნისტთა რჩეული რაზმი ერთსულოვნად გამოხატავდა უღრმეს პატივისცემას ამაგდარი ქალის, სოფლის მოჭირნახულის მიმართ.

ტატიანა როდინაულში დაიბადა და აღიზარდა, სადაც შეისისხლხორცა შრომის და განსაკუთრებით ვაზის სიყვარული.

იმავე სოფელში გათხოვდა, თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა იუსტინე გაჩეჩილაძეს. ერთი მიზნისა და ოცნების ახალგაზრდებმა ოდის საძირკველი გაამაგრეს, დაწვრილშვილდნენ და საკოლმეურნეო ცხოვრების გარიჟრაჟს ახალი შთაგონებით შეეგებნენ.

ტ. გაჩეჩილაძისათვის ავად მოსაგონარია დიდი სამამულო ომის დაწყების დღე. როგორც ყველა როდინაულელი, კომუნისტი იუსტინე გაჩეჩილაძეც სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. მარტოხელა ქალსამარა დარჩა ოთხი მცირეწლოვანი ბავშვი, სახლ-კარი, ეზო-გარემო.

დაიწყო უკაცოდ დარჩენილი სოფლის ყველაზე მძიმე პერიოდი. ტატიანა პარტიის რიგებში მიიღეს და მეგვანახეთა ბრიგადა ჩააბარეს.

— გაზაფხულზე თავმჯდომარემ გამოგვიცხადა, — გვეუბნება იგი, — ვისაც შეგიძლიათ ხარები შეაბით და დაიწყეთ ხვნა-თესვაო. ბეგრმა მოსინჯა, მაგრამ ლიდა ოსაძის, იელიონე ქურაძის და ჩემ გარდა კაგზე მუშაობა ვერავინ შეძლო.

ტატიანამ მოიგონა აგრეთვე, როგორ ჩაზიდა ქალების ბრიგადამ ქარსა და თოვაში ხარებით ნავთობის მილები ზესტაფონში, როგორ ამზადებდნენ საჩუქრებს ფრონტისათვის, როგორ ამხნევებდა თანასოფლელებს და როგორ უნერგავდა მათ გამარჯვებისა და ბედნიერი მომავლის რწმენას.

ომის დამთავრების შემდეგ თავმჯდომარემ ტატიანას მეგვანახეთა რგოლის ხელმძღვანელობა დაავალა. რგოლი 18 ჰექტარ ვენახს უვლიდა მაშინ და თითოეულ ჰექტარზე 67 ცენტნერი ყურძნის მოსავალი მოჰყავდა.

მიუხედავად ასაკისა, კვლავ საზოგადოებრივი და ქვეყნის საქმისადმი სიყვარულით, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის გრძნობით, შემართებით არის ანთებული ღვაწლმოსილი ადამიანი. მან გაიხსენა ერთი ეპიზოდიც, როცა პირადი ინიციატივით წავიდა მთა მომგლელად. არც ვენახი მიუტოვებია. ფერმაში მართლაც სანიმუშოდ დაიყენა საქმე. „ახლაც ჩავდივარ ფერმაში და ვეფერები ჩემს გაზრდილ ხბოებსო“, ღიმილით გვეუბნება იგი.

ტ. გაჩეჩილაძე დღესაც ვენახში ტრიალებს. შარშან საკარმიდამო ნაკვეთიდან 5, ხოლო ბრიგადის ვენახიდან (0,5 ჰექტარიდან) სახელმწიფოს 6 ტონა ყურძენი მიჰყიდა. გამოზარდა და სახელმწიფოს მიჰყიდა ძროხა და ღორი. ტ. გაჩეჩილაძის ოჯახში თვალსაჩინო ადგილზეა მოთავსებული საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის ვიმპელი, რომელსაც აწერია „საუკეთესო ოჯახს, ყურძნის უხვი მოსავლის მოყვანის, სახელმწიფოსათვის მიყიდვისა და აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისათვის“.

— არ მახსოვს ვისმეს დავმდურებოდე, — ამბობს ტატიანა, — ჩვენს უბანში რაიმე საჭირბოროტო საკითხის მოგვარებისათვის არ გვჭირდება ვინმეს ჩარევა, ერთმანეთს ვეხმარებით საყოფაცხოვრებო და საერთო საქმის მოგვარებაში. ბევრი ახალგაზრდა გამოვზარდე.

შვილები და შვილიშვილებიც კარგი ჰყავს ტატიანას. ნათელას საშუალო სპეციალური განათლება აქვს და სოფელ პატრიკეთში ცხოვრობს. ჰყავს ორი შვილი. შორას საშუალო სპეციალური განათლება აქვს და როდინაულში ცხოვრობს. ჰყავს სამი შვილი, ნელი კი პედაგოგია, ორი შვილის დედაა, მუშაობს პატრიკეთში. შინკი გარდაცვლილი შვილის გურამის მეუღლეს და სამ შვილიშვილს უდგას მხარში.

აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია ყოველთვის ფასდება. ტ. გაჩეჩილაძე მრავალი პარტიული კონფერენციის დელეგატი ყოფილა. არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობის დელეგატად, მონაწილეობდა მოსკოვში სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენაში, იყო რაიონული საბჭოს დეპუტატი, ხოლო XXXVIII რაიონულ კონფერენციაზე რაიკომის შემადგენლობაში აირჩიეს. დაჯილდოებულია მედლებითა და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის მრავალი სამკერდე ნიშნით.

ჰ. შარიძაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

* * *

სურათზე ტ. გაჩეჩილაძე.
ტ. სალაძის ფოტო.

# აგრომრეწვი: ამოცანებს დრო გვიჯარნახებს

**მეთორმეტე** ხუთწლედის პირველი შრომითი დღეებია. იმის, თუ როგორი იქნება იგი, ბევრად განსაზღვრავს მიმდინარე წელი. რესპუბლიკამ, რომელსაც აქვს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა, განვითარებული გადამუშავებელი მრეწველობა, ახალი ხუთწლეული დიიწყო ეკონომიკური აღმავლობის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ვრცელი პროგრამით. ეს პროგრამა განსაზღვრეს პარტიის უმნიშვნელოვანესმა საყრილობო დოკუმენტებმა, რომელთა მიზანია მაგისტრალური სახალხო-სამეურნეო პრობლემების გადაჭრა, სასურსათო პროგრამის რეალიზაცია. და აქ უპირველეს როლს ასრულებენ სახედლეულო ბაზისა და პროდუქციის გადამუშავების შესაძლებლობათა შეწონასწორებულობა, აგროსამრეწველო კომპლექსის მთელი პოტენციალის, მისი რეზერვების მაქსიმალური გამოყენება.

ის, თუ რაოდენ დიდია ეს რეზერვები, მკაფიოდ ცხადყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულმა რეპუბლიკურმა თათბირმა. მან დასახა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების ამოცანები აგროსამრეწველო კომპლექსის კვების დარგების განვითარების დაჩქარებისათვის, სასურსათო საქონლის წარმოების გადიდებისა და ამ საქონლით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესებისათვის.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ა. ჭითანავამ.

საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის წილად მოდის მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტის 52 პროცენტზე მეტი, ითქვა თათბირზე. სოფლის მეურნეობის პროდუქციის 80 პროცენტზე მეტი გადასამუშავებლად იგზავნება. ეს განსაზღვრავს კვების დარგების უდიდეს პასუხისმგებლობას. გასულ ხუთწლედში გადამუშავებულია მილიარდ 300 ათასი მანეთის პროდუქცია. ახალ ხუთწლეულში ამოცანები მნიშვნელოვნად გაიზრდება.

სამუშაოთა გადიდებულ მოცულობას, გაზრდილ მოთხოვნებს მოჰყვა აგროსამრეწველო კომპლექსის სტრუქტურული გარდაქმნის აუცილებლობა, ახალი პრობლემები, რომლებიც დაუყოვნებლივ გადაჭრას მოითხოვს. პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა: შეიქმნა სახაგრომრეწვი — აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ერთიანი ორგანო, რომელმაც საკუთარ ხელში მოაქცია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, დამზადების, ტრანსპორტირებისა და გადამუშავების ყველა სადავე. მაგრამ ეს გარდაქმნების მხოლოდ პირველი ეტაპია, აღინიშნა თათბირზე. წინ გველის ფართო წრის უმნიშვნელოვანეს პრობლემათა გადაჭრა. ერთ-ერთი მათგანია კვების მრეწველობაში მოძველებული მოწყობილობის შეცვლა, რომლის პროცენტი აჭარბებს კიდევ დიდია, მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. ამის დაჩქარება საჭიროა თუნდაც იმიტომ, რომ მარტო ხორცისა და რძის მრეწველობაში მოთხოვნილების უზრუნველყოფა, მაგალითად, საცავებზე 86,5 პროცენტს შეადგენს, თევზის გადამუშავებელ მრეწველობაში — 50, საკონსერვო მრეწველობაში —62 პროცენტს. სწორედ ამიტომ თათბირმა სახაგრომრეწვის ხელმძღვანელებს მოსთხოვა შეიმუშაონ ამ მიმართულებით მუშაობის სპეციალური პროგრამა, 1986 წლის სეზონისათვის მოაწესრიგონ ყველა სამაცივრო მეურნეობა.

მაგრამ ეს საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. მეორე, არანაკლებ დიდნიშვნელოვანი მხარეა მთელი კვების პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესება, პროდუქციის იმ ნაწილის ხარისხოვანი გადამუშავება, რომელიც ძოსახლეობას უნდა მიეყიდოს. ავიღოთ თუნდაც ქურძნის გადამმუშავებელი მრეწველობა. აქ ბევრი რეზერვია. ეს ეხება უალკოჰოლო საექსპორტო პროდუქციის გამომუშავების გადიდებას. უკვე წელს ნავარაუდებია დავამზადოთ და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გავგზავნოთ ათასი ტონა „ტარხუნის“ ნაყენი, რაც საკმარისია 14 მილიონი დეკალიტრი სასმელის დასამზადებლად. რესპუბლიკაში ყველა პირობაა იმისათვის, რომ იგი გახდეს ადგილობრივი ნედლეულისაგან დამზადებული კონცენტრატის, ნაწრამის უდიდესი მომწოდებელი ქვეყანაში. ამავე დროს დარგი მხოლოდ 50 პროცენტით არის დატვირთული. სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სახაგრომრეწვმა უნდა განახორციელონ წვენების, ჯემების, კომპოტებისა და სხვა პროდუქციის წარმოების გაფართოების სასწრაფო ღონისძიებანი. საქმე ისე მოგვარონ, რომ სულ უფრო მეტი რაოდენობით იგზავნებოდეს ისინი საკავშირო ბაზარზე, რომელიც ამ სახეობის პროდუქციის დეფიციტს განიცდის.

გააანალიზეს რა მდგომარეობა ჩაის მრეწველობაში, მიმხსენებელმა და ორატორებმა აღნიშნეს, რომ დარგში ჯერ კიდევ შეინიშნება დისპროპორცია არსებულ ნედლეულსა და მისი გადამუშავების შესაძლებლობათა შორის. იგი 20 ათას ტონას შეადგენს. ეს საკითხი ყველაზე მწვავედ დგას გეგეჭკორის, ხელვაჩაურის რაიონებში, ქალაქ ტყიბულის ზონაში. სახაგრომრეწვის შესაბამისმა სამსახურებმა უკვე მიმდინარე სეზონში უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ ეს პრობლემა მოიხსნას დღის წესრიგიდან. კარდინალურ გადაწყვეტას მოითხოვს ჩაის ხარისხის გაუმჯობესების საკითხიც. აქ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებას. მეურნეობრიობის ახალ პირობებში ისინი ხომ პასუხს აგებენ საბოლოო შედეგებისათვის, მზა პროდუქციის ხარისხისათვის.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს, თქვეს ორატორებმა, საკონსერვო მრეწველობა, რომელმაც ჩაფუშა ხუთწლიანი გეგმის შესრულება რაოდენობის მიხედვითაც და ასორტიმენტის მიხედვითაც. ვერ შეგუვრიგდებით იმას, რომ დამამზადებლები არ უზრუნველყოფენ გადამმუშავებელ ქარხნებს საჭირო რაოდენობის ნედლეულით, რესპუბლიკაში დღემდე არ აწარმოებენ საკმარისი რაოდენობის ბოსტნეულისა და ხილის კონსერვებს. ამ საქმეში საჭიროა არა მარტო წესრიგის სასწრაფოდ დამყარება, არამედ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მკაცრი გაკონტროლება, მით უმეტეს, რომ საკონსერვო მრეწველობის საჭიროებებისათვის ამ ხუთწლედში გამოიყოფა 200 მილიონი მანეთი, აქედან — მარტო ტექნიკური განახლებისათვის — 56 მილიონი, ხოლო რეკონსტრუქციისათვის — 32 მილიონი მანეთი.

თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად აღინიშნეს, რომ ყველა პრობლემა ინიციატივიანად, შემოქმედებითად და, რაც მთავარია,

(დასასრული მე-2 გვ.).

## „აბესალომ და ეთერის“ წარმატება

**საქართველოს** თეატრები მთელი ქვეყნისა და რესპუბლიკის კომუნისტთა ცხოვრების ღირსშესანიშნავი მოვლენის მოლოდინში არიან. სკკპ მომავალ XXVII ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას უძღვნიან სცენის ოსტატები თავიანთ საუკეთესო დადგმებს, ამ დღეებში თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი მაყურებელთა წინაშე წარსდგა ახალი ნამუშევრით — უკვდავი „აბესალომ და ეთერით“, რომელსაც შემოქმედებითმა კოლექტივმა ახალი სიცოცხლე შთაბერა. მეოთხე დღეა ოპერის თეატრი მსმენელს ატკბობს ზაქარია ფალიაშვილის მომაჯადოებელი ჰანგებით, ძღერს სიკეთისა და სიყვარულის უკვდავების დამამკვიდრებელი დიდებული მუსიკა.

12 იანვარს სპექტაკლს დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, რომელიც „წარმოდგენის შემდეგ შეხვდა დადგმის მონაწილეებს. ეან გულთბილად მიულოცა დასს შემოქმედებითი გამარჯვება, ხაზგასმით აღნიშნა, თუ რაოდენ საჭიროა მზრუნველად ეკიდებოდნენ და თვალისჩინებივთ უფრთხილდებოდნენ კლასიკას.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ კლასიკა მარადიულია და მისი საუკეთესო ნიმუშების აღორძინება ყოველი თეატრის შემოქმედებითი ცხოვრების უეცილობელი პირობაა. ამის ნათელი დასტურია „აბესალომ და ეთერის“ ახალი სცენური ცხოვრება, რომელმაც ცხადყო რესპუბლიკის მთავარი სამუსიკო თეატრის ძიების ნაყოფიერება, მისწრაფება — შექმნას თანამედროვეთა ფიქრისა და გულისთქმის შესატყვისი საინტერესო მაღალმხატვრული სპექტაკლები. (საქინფორმი).

# საკვანძო ამოცანა

**საქართველოს** კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე განიხილეს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა მუშაობის 1985 წლის შედეგები და მიმდინარე წლის იანვარ-თებერვლის ამოცანები.

თათბირზე მოწვეული იყვნენ მთელი რიგი სამინისტროების, უწყებების, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების, საწარმოო გაერთიანებების, ქარხნებისა და ფაბრიკების ხელმძღვანელები, პარტიული კომიტეტების მდივნები..

ინფორმაციები გააკეთეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი განყოფილების ხელმძღვანელებმა, საწარმოო გაერთიანებების, ქარხნების გენერალურმა დირექტორებმა და დირექტორებმა.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ა. ანჩაბაძემ.

მთლიანად რესპუბლიკის მრეწველობამ შეასრულა მეთერთმეტე ხუთწლედის ბოლო წლის გეგმა. დავალების გადაჭარბებით გამოშვებულია 8,7 მილიონი მანეთის პროდუქცია. რეალიზებულია შრომის ნაყოფიერების ზგეგეგმით გადიდების დავალება. მაგრამ ეს ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების, სამრეწველო საწარმოების საქმიანობაში სერიოზული ნაკლოვანებებია. სასაქონლო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა ვერ შეასრულეს რუსთავის საწარმოო გაერთიანებებმა „აზოტმა“ და „ქიმბოჭკომ“, ფოთის ელექტრომანქანების გამაძლიერებლების ქარხანამ. მათ მომხმარებელს დააკლეს 40,6 მილიონი მანეთის ნაწარმი. მიწოდების ვალდებულებათა გათვალისწინებით პროდუქციის რეალიზაციის გეგმა ვერ შეასრულა 27 საწარმომ. მომხმარებელს დააკლეს 45,3 მილიონი მანეთის პროდუქცია. რვა საწარმომ ვერ შეასრულა შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა, რვამ გააძვირა ნაწარმის თვითღირებულება, ხუთმა ჩაფუშა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების დავ

# აგრომრეწვი: ამოცანებს დრო გვიკარნახებს

(დასასრული)

დაჩქარებული ტემპით უნდა წყდებოდეს. დროც ალარ გვრჩება. ძალზე, ბევრი რამ უნდა მოვასწროთ ამ მომავალ ხუთ წელიწადში. რომლებიც შემობრუნების წლებად უნდა იქცეს აგრომსამრეწველო კომპლექსის პრაქტიკულად ყველა კვების დარგისათვის და უწინარესად ხორცისა და რძის მრეწველობისათვის. იგი კი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, თუნდაც მარტო იმიტომ, რომ ქვეყანა დაადგა საკუთარი წარმოების პროდუქტებით რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, რაიონების თვითუზრუნველყოფის კურსს. ჩვენი მეცხოველეობა,თუმც კი გვარიანი რეზერვები აქვს, ჩამორჩენილი დარგია: რესპუბლიკაში ძროხის საშუალო ნაწველი ლამის ყველაზე მცირეა ქვეყანაში. უფრო მეტიც, ბევრმა რაიონმა 1985 წელს შემაცირა 1982 წლის ისედაც არცთუ ისე დიდი საკონტროლო ციფრები. მარტო შარშან რესპუბლიკის დედაქალაქს 8 ათსი ტონა რძე დააკლდა. 30 რაიონმა ვერ შეასრულა მისი დამზადების გეგმები. ყველაზე უფრო ჩამორჩნენ ბორჯომის, ლანჩხუთის, მახარაძისა და სხვა რაიონები, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეურნეობები. ამავე დროს აბაშის, ვანის, გურჯაანის, გარდაბნის, სხვა რაიონები, რომლებსაც ანალოგიური პირობები აქვთ, სტაბილურად ზრდიან მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებას. მაშასადამე, რეზერვები გვაქვს, და არცთუ ცოტა. როგორც პრაქტიკამ ცხადყო, ყველაფერი ემყარება უნარიან ხელმძღვანელობას. სპეციალისტების შუყათ და ორგანიზებულ მუშაობას, დისციპლინასა და პასუხსებისმგებლობას. შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმების, მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევათა დანერგვაზე გამრავლებული ეს ფაქტორები წარმატების საწინდარია.

მწვავედ და პრინციპულად გააკრიტიკეს ის რაიონები, მეურნეობები, საწარმოები, ხელმძღვანელები, რომლებმაც ვერ შეასრულეს პროდუქციის დამზადებისა და გადაეშვიენის სახელმწიფო გეგმები. ბოლო მოეღოს უყაირათობასა და ინერტულობას, გულგრილობასა და დუდღეგონობას — ასეთია თათბირის მოთხოვნა. ახლა ჩვენ განსაკუთრებით გვჭირდება საზოგადოებრივი აქტიურობა, შემოქმედებითი შრომა, შეურიგებლობა ნაკლოვანებებისადმი, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა საახალწლო მიმართვაში საბჭოთა ხალხისადმი. ეს სიტყვები ჩვენი შემდგომი მუშაობის კრიტერიუმად უნდა იქცეს, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე.

თათბირის მონაწილენი შეეხენენ ბევრ სხვა პრობლემასაც, რომლებიც უკავშირდება აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დარგის ამოცანებს — უნარჩენო ტექნოლოგიათა დანერგვას და რესურსების მომჭირნეობას. დიმბრაე სარეწებისა და მეურნეობების განვითარებას. პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების მხედველობის არის მიღმა არ უნდა რჩებოდეს არც ერთი პრობლემა. თუკი იგი რამდენადმე მაინც ახდენს გავლენას კვების მრეწველობის განვითარებაზე. მაგალითად, საჭირო მოვაწესრიგოთ საკმლის ნარჩენების საკითხი — მათი გამოყენება ხომ დიდ როლს ასრულებს მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდებაში. თბილისის საქალაქო აღმასკომი, სხვა ორგანიზაციები უნდა მართავდნენ მოსახლეობისაგან საკმლის ნარჩენების შეგროვების პროცესს. უნდა მოვაგვაროთ მოსახლეობისაგან ხარისხიანი სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვა.

ყველაგან და ყველაფერში წესრიგის დამყარება დროის მოთხოვნაა, დღევანდელობის ამოცანაა. აქ წვრილმანები არ არის. ყველაფერი უნდა ექვემდებარებოდეს ერთ მიზანს — საწარმოო პოტენციალის, სურსათის რესურსების ზრდას. სახაგრომრეწვის შესაბამისი ქვეგანაყოფები, სხვა სამინისტროები და უწყებები უმოკლეს ვადაში უნდა შეუდგნენ აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების ტექნიკურ განახლებას, პრაქტიკაში პროგრესულ მეცნიერულ ნამუშევართა დანერგვას, იზრუნონ კადრების შერჩევა-განაწილებისა და სხვა საკითხების გადაწყვეტისათვის.

ახალი ხუთწლედის პირველმა წელმა საათავე უნდა დაუდოს ახალ შრომითს მიღწევებს. საამისოდ ყველა წანამძღვარი გვაქვს — შეძენილი გამოცდილებაც. შესაბამისი რესურსებიც, საჭიროა წლის პირველი დღეებიდანვე გამოვიჩინოთ ინიციატივა, გერგილიანობა, დამკვრელურად დავამთავროთ იანვარი. მიღწეული ტემპის შენარჩუნება წარმოების ყველა სფეროში საჭიროა კიდევ იმიტომაც, რომ მიმდინარე და მომდევნო წლების გეგმები ძალზე დაძაბულია. მათი წარმატებით შესრულება მოითხოვს ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მნიშვნელოვან გაძლიერებას, მშრომელთა, სპეციალისტთა, შემოქმედებითი აქტიურობის ზრდას 1986 წლის გეგმებისა და ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის, სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დირსეული შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციას.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები დ. ლ. ქარიველიშვილი, ვ. რ. პაპუნიძე, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის თავმჯდომარე ო. ზ. ვარძელაშვილი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის განყოფილების გამგე რ. ვ. მემარნიშვილი და ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილების გამგე ა. ი. კაკსაძე.

(საქინფორმი).

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

• • •

**სსრ** კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ივანე ივანეს ძე **გლადი** დანიშნა სსრ კავშირის შრომისა და სოციალური საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

• • •

**სსრ** კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაათავისუფლა ამხ. ვლადიმერ სერგის ძე **ალხიმოვი** სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარეობიდან. მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლის გამო.

## ჯილდოების გადაცემა

**ქართულ** საბჭოთა არქიტექტურის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილისათვის, მისი შემოქმედებითი მიღწევების პროპაგანდისათვის და დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს არქიტექტორთა კავშირი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა ჯილდო გადასცა არქიტექტორთა კავშირის წარმომადგენლებს. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები, აგრეთვე სიგელები რესპუბლიკის საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ მიიღო რესპუბლიკის არქიტექტორთა ჯგუფმა.

სიგელების გადაცემისას ამხ. გილაშვილმა გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულთ, უსურვა მათ ჯანმრთელობა, ახალი შემოქმედებითი წარმატებები.

(საქინფორმი).

## „სიახლის“ ინდექსით



**ჩეხოსლოვაკი ა ფ ი, ფინეთში, საფრანგეთში გამართულ საერთაშორისო გამოფენებზე არაერთხელ ყოფილა წარმოდგენილი თბილისის ტყავ-გალანტერეის ფაბრიკის პროდუქციის ნიმუშები. ამუამად საწარმოს ოსტატები ამზადებენ ათ ახალ ნიმუშს, რომლებსაც გაზაფხულზე ლაიფციგის 1986 წლის ტრადიციულ გამოფენაზე წარადგენენ.**

**ტყავ-გალანტერეის ფაბრიკის სხვადასხვა სახეობის პროდუქცია გამორჩევა ჩინებული ხარისხით, მიმზიდველი, ლამაზი და მოხერხებულია. ფაბრიკის ასორტიმენტის ხუთი სახეობა „ს“ ინდექსით გამოდის.**

**საწარმოს კოლექტივმა, რომელიც სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის ემზადება, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა ხუთწლედის დამამთავრებელი წელი. 1986 წლისათვის გათვალისწინებულია საწარმოს საამქროებისა და უბნების რეკონსტრუქცია, შრომის ნაყოფიერების ზრდა, ტექნიკური განახლება.**

**სურათზე: ასორტიმენტის კაბინეტის გამგე მარინე სიორიძე უჩვენებს ფართო მოხმარების ნაწარმის ნიმუშებს.**

**ი. ულამოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).**

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში დამთავრებული ანგარიშგება-არჩევნების შედეგები. საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგეს ვ. ი. ალავიძეს განემარტა ეს შედეგები.**

# კომუნისტთა საქრილოგო ანგარიში

საანგარიშო-საარჩევნო კამპანია, თქვა მან, გახდა დიდი პოლიტიკური მოვლენა რესპუბლიკის ცხოვრებაში, სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისათვის მზადების მნიშვნელოვანი ეტაპი. მთლიანად მან ჩაიარა მაღალ ორგანიზაციულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და ოქტომბრის პლენუმების მოთხოვნების შესაბამისად, შინაპარტიული დემოკრატიის, კომუნისტთა ურთიერთმომთხოვნელობისა და მომკითხველობის, პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ატმოსფეროში.

კრებები გაიმართა 32.050 პირველადს, საამქრო პარტორგანიზაციასა და პარტჯგუფში, კონფერენციები — 96 საოლქო, რაიონულ და საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში. მათ ცხადყვეს პარტიის ხელმძღვანელი როლის შემდგომი ზრდა, კომუნისტთა შეგნებისა და აქტიურობის მაღალი დონე, პარტიისა და ხალხის ურყევი ერთიანობა, მტკიცე გადაწყვეტილება განუხრელად ახორციელებდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სანინაო და საგარეო პოლიტიკის ლენინურ კურსს.

რესპუბლიკის კომუნისტებმა მთლიანად დაუჭირეს მხარი და მოიწონეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის, შემოთავაზებული ცვლილებებით უ რ თ პარტიის წესდების, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტები. მათი განხილვის პროცესში გამოავლინეს მტკიცე გადაწყვეტილება პრაქტიკული საქმეებით შეუწყონ ხელი საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური პროგრესის დაჩქარებას, გამოთქვეს ბევრი საქმიანი, კონსტრუქციული წინადადება.

ანგარიშგება-არჩევნების დროს ყოველმხრივ გაანალიზეს ეკონომიკისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ფორმები და მეთოდები, საქმის ვითარება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, განსაკუთრებით ჩამორჩენილ უბნებზე, განსაზღვრეს პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები, რომელთა მიზანი იყო კომუნისტების, ყველა მშრომელის დარაზმვა 1985 წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების უთუო შესრულებისათვის, მტკიცე საფუძვლის შექმნა მეთორმეტე ხუთწლედში წარმატებული მუშაობისათვის, საანგარიშო-საარჩევნო კრებების მომზადებისა და მოწყობის პროცესში 30 ათასზე მეტმა კომუნისტმა იკისრა ახალი გადიდებული ვალდებულებანი, გამოიჩინა მნიშვნელოვანი თაოსნობანი და ინიციატივები. დავალებანი ვადამდე შესრულა წარმოების სფეროში დასაქმებულმა თითქმის ყოველმა მეორე კომუნისტმა.

კრებებსა და კონფერენციებზე მიმდინარე ამოცანებს მჭიდროდ უკავშირებდნენ ისეთ პერსპექტიულ ამოცანებს, როგორიც არის ეკონომიკის ინტენსიფიკაციის დონის ამაღლება და შრომისაგან უკუგების გადიდება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, პროდუქციისა და მუშაობის ხარისხის გაუჯობესება, არსებული რესურსების რაციონალური გამოყენება, ახალი რეზერვებისა და შესაძლებლობების ძიება.

ამავე დროს, თვითკრიტიკულად, მიმდინარე ეტაპზე პარტიული ორგანიზაციებისადმი წაყენებული დიდი მოთხოვნების პოზიციიდან გააანალიზეს არსებული ნაკლოვანებანი და დარღვევები. მკაცრად მოჰკითხეს რა ბრალეულებს, კომუნისტ ე ბ ი ერთსულოვნად გამოთქვამდნენ აზრს, რომ კიდევ უფრო უნდა გაამკაცრონ ბრძოლა რესპუბლიკის ცხოვრებიდან სხვადასხვა ნეგატიური მოვლენის აღმოფხვრისათვის, გაზარდონ ძალისხმევა პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, მიაღწიონ იმას, რომ თითოეული კომუნისტი, თანამდებობის იუფლებადან, განუხრელად ასრულებდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების მოთხოვნებს.

პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა განიხილეს, როგორც წესი, ორგანიზატორულ, იდეურ-აღმზრდელობითს და სამეურნეო საქმიანობასთან მჭიდრო კავშირით. კრებებსა და კონფერენციების მონაწილეებმა ყოველმხრივ განიხილეს პარტიული მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის საკითხები. პარტიის საქალაქო, რაიონული კომიტეტები უფრო აქტიურად ეურდნობიან პარტიის ძირეულ რგოლებს, ფართო მასების გამოდილებას. ჯანსაღი, ობიექტური კრიტიკის სულისკვეთებით განიხილეს პარტიის საქალაქო, რაიონული კომიტეტების მდივნების, ბიუროების წევრების, აპარატის მუშაობის სტილი, ფორმები და მეთოდები.

კრებებისა და კონფერენციების დროს ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის პრობლემების განხილვამ ნათლად გვიჩვენა, რომ პარტიული ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ კადრების შერჩევას, პარტიული რიგების შემდგომ განმტკიცებასა და ზრდას, მათი თვისებრივი შემადგენლობის გაუმობესებას, კომუნისტთა ავანგარდული როლისა და პასუხისმგებლობის გადიდებას, სახალხო მეურნეობის გადამწყვეტ უბნებზე მათს განაწილებას. ხაზგასმით აღინიშნა, რომ გადაჭრით უნდა დაძლიონ სიტყვასა და საქმეს შორის ჯერ კიდევ არსებული განსხვავება. დაწყებული საქმე მიიყვანონ ბოლომდე, გააძლიერონ მომთხოვნელობა დაპირების შეუსრულებლობისათვის, ქაღალდომთხზველობისა და სასხდომო ფუსფუსით გატაცებისათვის. გააკრიტიკეს საბჭოების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ფორმები და მეთოდები, რომლებიც მოძველდა, აფერხებს ინიციატივას და ამცირებს პასუხისმგებლობას.

საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ ცხადყო კომუნისტთა დიდი დაინტერესება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე საქმის ვითარებისა და გაუმჯობესებით. კრებებსა და კონფერენციებზე გამოითქვა ასი ათასამდე კრიტიკული შენიშვნა და წინადადება, რომელთა უმრავლესობა ეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიც არის წარმოების ინტენსიფიკაციის გადიდება, შრომისა და ყოფა-ცხოვრების ორგანიზაციის სრულყოფა, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება, მომჭირნეობისა და აყირათიანობის მკაცრი რეჟიმის უზრუნველყოფა, ნეგატიური მოვლენების ბრძოლის გაძლიერება, ყველგან და ყველფერში დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცება. კომუნისტები შეეხენენ ეკონომიკური, სოციალური ძოლიტიკური ცხოვრების პრაქტიკულად ყველა მხარეს, გამოთქვამდნენ კონკრეტულ წინადადებებს ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, შრომის კოლექტივებში პარტიული გავლენის გაძლიერების, დასახულ პრობლემათა გადაჭრისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სრულყოფის თაობაზე. განსაკუთრებით ყურადსაღები, რომ ამ წინადადებებში აკუმულირებული იყო კომუნისტთა კოლექტიური გონება, ისინი ზუსტად სახავდნენ პარტიის პოლიტიკის განხორციელების გზებს.

როგორც ხაზგასმით აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე, ახლა ამოცანა ის არის, რომ წარმართოთ თანამდევრული და მიზანდასახული მუშაობა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების განხორციელებისათვის. და აქ პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად თავიანთი მნიშვნელოვანი სიტყვა უნდა თქვან საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა.

მნიშვნელოვნად გაიზარდა მომთხოვნელობა და მომკითხველობა საანგარიშო პერიოდში პარტორგანიზაციათა არჩევითი ორგანოების მუშაობის შეფასებისას. საქმის ინტერესების გათვალისწინებით კომუნისტები ახლა მეტ სიმკაცრესა და პრინციპულობას იჩენენ. არადამაკმაყოფილებლად ცნეს 77 ორგანიზაციის პარტჯგუფორგების, პარტკომების, პარტბიუროებისა და მდივნების მუშაობა — ეს ხუთჯერ მეტია, ვიდრე წინა ანგარიშგება-არჩევნების დროს.

დამახასიათებელია, რომ პარტიულმა კომიტეტებმა დაიწყეს ბიუროს სხდომებზე კომუნისტების მიერ პარტორგანიზაციების არჩევითი ორგანოების საქმიანობის არაპრინციპული შეფასების ფაქტების განხილვა. კერძოდ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ოქტომბერში განიხილა ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში მომხდარი ასეთი ფაქტი, შესაბამისი შეფასება მისცა მას და პარტიული სასჯელი დაადო პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღოდათ ამაში.

საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დიდმნიშვნელოვანი შედეგი იყო ის, რომ საგრძნობლად გაუმჯობესდა არჩევითი პარტიული ორგანოების მუშაობის შეფასებისას. საქმის ინტერესების გათვალისწინებით კომუნისტები ახლა მეტ სიმკაცრესა და პრინციპულობას იჩენენ. ირადამაკმაყოფილებლად ცნეს 77 ორგანიზაციის პარტჯგუფორგების, პარტკომების, პარტბიუროებისა და მდივნების მუშაობა — ეს ხუთჯერ მეტია, ვიდრე წინა ანგარიშგება-არჩევნების დროს.

დამახასიათებელია, რომ პარტიულმა კომიტეტებმა დაიწყეს ბიუროს სხდომებზე კომუნისტების მიერ პარტორგანიზაციების არჩევითი ორგანოების საქმიანობის არაპრინციპული შეფასების ფაქტების განხილვა. კერძოდ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ოქტომბერში განიხილა ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში მომხდარი ასეთი ფაქტი, შესაბამისი შეფასება მისცა მას და პარტიული სასჯელი დაადო პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღოდათ ამაში.

საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დიდმნიშვნელოვანი შედეგი იყო ის, რომ საგრძნობლად გაუმჯობესდა არჩევითი პარტიული ორგანოების მუშაობის შეფასებისას. საქმის ინტერესების გათვალისწინებით კომუნისტები ახლა მეტ სიმკაცრესა და პრინციპულობას იჩენენ. ირადამაკმაყოფილებლად ცნეს 77 ორგანიზაციის პარტჯგუფორგების, პარტკომების, პარტბიუროებისა და მდივნების მუშაობა — ეს ხუთჯერ მეტია, ვიდრე წინა ანგარიშგება-არჩევნების დროს.

ამავე დროს საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის მომზადებასა და მოწყობაში იყო გარკვეული ნაკლოვანებანი და ხარვეზებიც. მთელ რიგ პირველად პარტორგანიზაციებში კრებების ორგანიზაციული და პოლიტიკური დონე, სულისკვეთება და მიზანმიმართულება სრულად არ შეესაბამებოდა წაყენებულ მოთხოვნებს. აღინიშნებოდა ფორმალიზმის, ორგანიზაციული გადამლაშების ელემენტები, მისწრაფება დასჯერებოდნენ საერთო ფრაზებს, შეელამაზებინათ მიღწეული. ამის შედეგად მიღებული დადგენილებანი არ გამოირჩეოდა კონკრეტულობით, არ გადაიჭრა მომავალი პერიოდის ზუსტ პროგრამად.

კომუნისტთა შედარებით ნაკლები აქტიურობის ვითარებაში ულმა მთულმა რიგმა ორგანიზაციულმა ტონისძიებებმა. კრებების, კონფერენციების მომზადებასა და მოწყობაში დაბჯარების გასაწევად და მათს მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად რესპუბლიკის ყველა რეგიონიდან გაიგზავნა სპეციალური ჯგუფები ცენტრალური კომიტეტის, ხელმძღვანელი რესპუბლიკური ორგანოების შემადგენლობიდან. ზემდგომი პარტიული და სამეურნეო ორგანოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ ყველა კრებას და კონფერენციას.

ამავე დროს საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის მომზადებასა და მოწყობაში იყო გარკვეული ნაკლოვანებანი და ხარვეზებიც. მთელ რიგ პირველად პარტორგანიზაციებში კრებების ორგანიზაციული და პოლიტიკური დონე, სულისკვეთება და მიზანმიმართულება სრულად არ შეესაბამებოდა წაყენებულ მოთხოვნებს. აღინიშნებოდა ფორმალიზმის, ორგანიზაციული გადამლაშების ელემენტები, მისწრაფება დასჯერებოდნენ საერთო ფრაზებს, შეელამაზებინათ მიღწეული. ამის შედეგად მიღებული დადგენილებანი არ გამოირჩეოდა კონკრეტულობით, არ გადაიჭრა მომავალი პერიოდის ზუსტ პროგრამად.

კომუნისტთა შედარებით ნაკლები აქტიურობის ვითარებაში ულმა მთულმა რიგმა ორგანიზაციულმა ტონისძიებებმა. კრებების, კონფერენციების მომზადებასა და მოწყობაში დაბჯარების გასაწევად და მათს მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად რესპუბლიკის ყველა რეგიონიდან გაიგზავნა სპეციალური ჯგუფები ცენტრალური კომიტეტის, ხელმძღვანელი რესპუბლიკური ორგანოების შემადგენლობიდან. ზემდგომი პარტიული და სამეურნეო ორგანოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ ყველა კრებას და კონფერენციას.

ამავე დროს საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის მომზადებასა და მოწყობაში იყო გარკვეული ნაკლოვანებანი და ხარვეზებიც. მთელ რიგ პირველად პარტორგანიზაციებში კრებების ორგანიზაციული და პოლიტიკური დონე, სულისკვეთება და მიზანმიმართულება სრულად არ შეესაბამებოდა წაყენებულ მოთხოვნებს. აღინიშნებოდა ფორმალიზმის, ორგანიზაციული გადამლაშების ელემენტები, მისწრაფება დასჯერებოდნენ საერთო ფრაზებს, შეელამაზებინათ მიღწეული. ამის შედეგად მიღებული დადგენილებანი არ გამოირჩეოდა კონკრეტულობით, არ გადაიჭრა მომავალი პერიოდის ზუსტ პროგრამად.

კომუნისტთა შედარებით ნაკლები აქტიურობის ვითარებაში

# ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ, ᲒᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

● **მიზანშეწონილად** მიმაჩნია სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტის მეორე ნაწილის მესამე თავის ოცდამეშვიდე აბზაცის პირველ წინადადებას ჩაემატოს სიტყვა „პარტიის“ და იგი ასეთნაირად ჩამოყალიბდეს: **„ხაბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავაც ნიადაგ იზრუნებს პარტიის, შრომისა და ომის ვეტერანთა, ხანდაზმულ მოქალაქეთა, ინვალიდთა, დალუპული მეომრების ოჯახის წევრთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის...“** შემდეგ როგორც ტექსტშია. კარგი იქნება აგრეთვე, თუ პარტიის ვეტერანად ჩაითვლება 40 წლის სკკპ წევრობის სტაჟის მქონე კომუნისტი და იგი დაჯილდოდდება ვ. ი. ლენინის გამოსახულებიანი მედლით.

**ი. ადეიშვილი,**
**საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი, პერსონალური პენსიონერი.**

● **კარგი** იქნება, თუ სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტის მეორე ნაწილის მეორე განყოფილების ბოლო აბზაცი, რომელშიც ლაპარაკია სოციალისტური შეჯიბრების განვითარებაზე, ასეთნაირად ჩამოყალიბდება: **„პარტიის უფლმფი ყურადღების განგანა როგორც სოციალისტური შეჯიბრების განვითარება, ისე კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის გაძლიერება“.** ეს, ჩვენი აზრით, განამტკიცებს დისციპლინას, გაზრდის თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობას, ენთუზიაზმს.

**გ. ფირცხალავა,**
**ცხაკაიას მექანიკური ქარხნის დირექტორი.**

● **ვფიქრობ,** კარგი იქნება სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტის მეორე ნაწილის მეხუთე განყოფილების პირველ ქვეგანყოფილებაში მეცამეტე აბზაცის სიტყვების „მლიქვნელობისა და პირმოთნეობის“ შემდეგ ჩაემატოს სიტყვები **„ყოყოჩობისა და ბიუროკრატიზმის“..** შემდეგ როგორც ტექსტშია.

**ზ. ბოჩიკაშვილი,**
**ადიგენის რაიონის კოორდინაციის ბასახურებლის განყოფილების დირექტორის მოადგილე.**

● **სკკპ** წესდების (შემოთავაზებული ცვლილებითურთ) პროექტის პირველი თავის მეთოხე პუნქტში წერია, რომ ახალგაზრდობა 25 წლამდე ჩაითვლი პარტიაში შედის მხოლოდ სრულიად საკავშირო ალკკ რიგებიდან.

რაკი კომკავშირულ ასაკად მიჩნეულია 28 წლამდე პერიოდი, ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია, ზემოაღნიშნული წინადადება ასე ჩამოყალიბდეს: **„ახალგაზრდობა 28 წლამდე ჩათვლით პარტიაში შედის მხოლოდ სრულიად საკავშირო ალკკ რიგებიდან“.** ეს კიდევ უფრო გაზრდის კომკავშირის როლსა და ავტორიტეტს“.

**ვ. გუჯაბიძე.**
**რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკი.**

ᲥᲠᲘᲚᲝᲒᲘᲡᲬᲘᲜᲐ
ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ

# პარტიული მუშაობის ლენინური სტილი-მეცნიერება, ხელოვნება

**ამჟამად** ჩვენს ქვეყანაში არ არის ისეთი კუთხე, სადაც საბჭოთა ადამიანები არ კითხულობდნენ და არ სწავლობდნენ ლენინური პარტიის ხელმძღვანელი შტაბის — სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1985 წ.) პლენუმის მასალებს — ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებას და პლენუმის მიერ განხილულ და მოწონებულ უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტებს — სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთორმეტე ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტებს, აგრეთვე სკკპ წესდების ცვლილებების პროექტს.

ეს დიდი ეპოქალური მნიშვნელობის პარტიული დოკუმენტები, რომლებიც კანონის ძალას მიიღებენ სკკპ XXVII ყრილობაზე და საფუძვლად დაედება პარტიისა და საბჭოთა ხალხის მთელს შემდგომ მოღვაწეობას, გადაჭრით აყენებს ამოცანას — კიდევ უფრო ავამაღლოთ პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი, სრულყოთ ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობა, ხელმძღვანელი კადრები დავაუფლოთ პარტიული მუშაობის ლენინურ ხელოვნებას.

ცხადია, პარტიული მუშაობის ლენინური ხელოვნების ზედმიწევნით დაუფლება იოლი საქმე არ არის. მაგრამ ამაში დიდად გვეხმარება ის მდიდარი იდეური მემკვიდრეობა, რომელიც დაგვტოვეს მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლებმა კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა, მათი საქმის დიდმა გამგრძელებელმა ვ. ი. ლენინმა.

ფ. ენგელსმა ჯერ კიდევ ას წელზე მეტი ხნის წინათ ჩამოაყალიბა შესანიშნავი დებულებები იმ თვისებების შესახებ, რომლებსაც უნდა განასახიერებდეს პარტიული ხელმძღვანელი, როგორც პოლიტიკური მოღვაწე. აბასიათებდა რა პროლეტარული რევოლუციონერის ვილჰელმ ვოლფის პიროვნებას, ფ. ენგელსი წერდა: „... ჩინებულად გაწვრთნილი მისი გონება, მდიდარი იუმორი, ძნელი თეორიული პრობლემების ნათელი გაგება, ხალხთა მასების ყველა მჩაგვრელისადმი დიდი სიძულვილი, მისი ენერგიული და ამავე დროს მშვიდი ხასიათი,—ყოველივე ეს ერთბაშად გადაიშალა ჩვენს წინაშე, მაგრამ საჭირო გახდა ერთობლივ მოღვაწეობასა და ბრძოლაში, გამარჯვებასა და დამარცხებაში, კარგსა და ცუდ დროში მეგობრული ურთიერთობის ხანგრძლივი წლები, რომ შეგვძლებოდა მთელი სისრულით შეგვეფასებინა მისი ხასიათის ურყეველი სიმტკიცე სრულიად უეჭველი აბსოლუტური ერთგულება, მისი მოგალეობის უფდმივი გრძნობა, ერთნაირად მკაცრი როგორც მტრისა და მეგობრის, ისე საკუთარი თავის მიმართ“. ვილჰელმ ვოლფის ამ თვისებებს ენგელსმა დაუმატა მისი სხვა ღირსებებიც: მოვალეობის ერთგულება, პირდაპირობა, უდიდესი შრომისმოყვარეობა, ზნეობრივი სისპეტაკე, გულისხმიერება. ვოლფის ამ თვისებებს მარქსი და ენგელსი ყოველი პროლეტარული რევოლუციონერისათვის, ყოველი სახელმწიფო მოღვაწისათვის აუცილებლად თვლიდნენ.

არის აგრეთვე ენგელსის მეორე, სანტერესო დებულება ხელმძღვანელი პარტიული მუშაკისათვის საჭირო თვისებების შესახებ. 1890 წელს ენგელსი წერდა, რომ პიროვნებას „აკადემიური განათლება“ სრულებითაც არ ანიჭებს ... „ოფიციის ჩინს და პარტიაში შესაბამისი პოსტის დაკავების უფლებას“. თეორიულ ცოდნასთან ერთად, როგორც ენგელსი მიუთითებს, „საჭირო აგრეთვე პარტიული ბრძოლის პირობების საფუძვლიანი ცოდნა და მისი ფორმების შეთვისება, ნაცადი პირადი პატიოსნება და ხასიათის სიმტკიცე“. მეტად საგულისხმოა ენგელსის შემდეგი მითითებაც: „ჩვენს პარტიაში თითოეულმა სამსახური უმდაბლესი თანამდებობით უნდა დაიწყოს“.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში კადრების როლი და ადგილი კ. მარქსმა შეადარა ლოტბარის მნიშვნელობას. „ყოველი უშუალოდ საზოგადოებრივი ან კოლექტიური შრომა, რომელიც დიდი მასშტაბით წარმოებს, — წერდა მარქსი, — მეტად თუ ნაკლებად მმართველობას საჭიროებს; ეს უკანასკნელი ამყარებს ინდივიდუალური მოქმედების ჰარმონიას და ასრულებს საერთო ფუნქციებს, რომლებიც მთელი საწარმოო სხეულის მოძრაობიდან გამომდინარეობს მისი დამოუკიდებელი ორგანოების მოძრაობისაგან განსხვავებით. ცალკეული ვიოლინოს დამკვრელი

ЦЕНТР

**თბილისის** საქალაქო პარტორგანიზაციის მე-40 საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციაზე ითქვა: საზოგადოებრიობა სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამს ქალაქის საავადმყოფოების, პოლიკლინიკებისა და სხვა სამკურნალო დაწესებულებების მდგომარეობის გამო... არ დაძლეულა გამომძალველობისა და უსულგულობის ფაქტები.

აღნიშნულ საკითხზე უამრავი საჩივარი და განცხადება შემოდის საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელ ცენტრში და გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში. წერილები მოწმობს, რომ სხვა ნაკლოვანებებთან ერთად ჯანმრთელობის დაცვის კერებში ჯერ კიდევ არის სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების უხეშად დარღვევის შემთხვევები.

ამჟერად წინამდებარე წერილში, რომელიც მომზადებულია ცენტრისა და რედაქციის მიერ ერთობლივად შესწავლილი საზოგადოებრივი აზრის საფუძველზე, გაგაცნობთ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის რესპუბლიკურ ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში არსებულ მდგომარეობას.

**19 დეკემბრის** დილა იყო. საათის ისრები თერმეტს უახლოვდებოდა. რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ოფიცერ „კარი გაიღო და ალმოვნდნენ პროფესორთა განყოფილებაში. დერეფანში მნახველები ირეოდნენ... არც ერთს თერმი ხალათი არ ეცვა. შევედით № 1170 მამაკაცთა პალატაში და დავინახეთ ოთახის შუაგულში დგარ საწოლზე პირქვე დამწოლილი ავადმყოფი. იგი ამ დილით შემოეყვანათ. ვერ გავერკვეთ, ორმად ეძინა თუ ცუდად იყო. საუნძრევლად იწვა. ეს კია, ვერც ვენი შესვლა გაიგო და ვერც ვენი გაკვირვებული წამოძახი: ეს რა არის, ზეწარია ასე ეუმეყიანი თუ?!..

უცებ თვალი ვკიდეთ ფანჯრებს და სახტად დავრჩით... ამ დროს, თვალს თუ გვადევნებდა, ალაგე პალატის ავადმყოფმა შეშოთებულმა გვითხრა: ცივა და ფანჯრებზე ფარდები ჩამოვაშვინინე, თბილი საბანიც მოვატანინე...

ფანჯრებზე რუხი ფერის ფარდები ეკიდა. ერთს... ფარდა არ ჰქონდა...

აი, რატომ არის ზეწარი ასე ეიწრო და რუხი ფერის, გავიფიქრეთ. ფარდა — ავადმყოფის ზეწრად?! წარმოუდგენელია... დიახ, ხელის ხომ ლოგინის თეთრეული ბლომად ჰქონდა...

ასე დაიწყო ჩვენი მოგზაურობა ავადმყოფის აბუჩად აგდების ბარემში, ეს იყო პირველი სამარცხვინო ფაქტი, რომლის დაფიქრება არ გვინდოდა, რადგან ეს, იმ ლამაზად ნაგებ საავადმყოფოს თოთხმეტსართულიანი ერითადი კორპუსის კედლებში გადავეყარეთ, სადაც ეუშაობენ ჩვენი სასიქადულო, ალაკვალიფიციური მედიცინის მუშაკები, სადაც ყოველგვარი პირობაა შექმნილი მკურნალობისათვის, სადაც ადამიანები რწმენით, იმედით მოდიან.

საავადმყოფოს შენობა საექსპლოატაციოდ გადაეცა 1973 წელს. მას აქვს ოცდასამი სპეციალიზებული კლინიკური განყოფილება და სამედიცინო ინსტიტუტის თოთხმეტი კათედრა, ოპერაციო განყოფილება თორმეტი საოპერაციო ბლოკით, ეუნი დამხმარე განყოფილება და ბლოკი, ათასს ასი საწოლი. ამის გარდა, ეგრეთ წოდებულ ულ სართულზე განლაგებულია სხვადასხვაგვარი ტექნიკური საშასურები. სულ შენობაში ათასს ეუთასამდე ოთახი და ოთხი ათასი სხვადასხვა სახის სანიტარიულ-ტექნიკური კვანძია. მას ემსახურება ათას ცხრაასამდე თანამშრომელი. აქედან შვიდასზე მეტი სანიტარია. მაგრამ...

— ზოგიერთი სანიტარი ზარაცობს, ხან რა „ავიწყდება“, ხან რა. მას თავისი საქმე და, რაც მთავარია, ადამიანი უფრო მეტად რომ უყვარდეს, გულისხმიერი იქნებოდა. — აზრი გამოთქვა ერთმა.

გვეკითხა. თურმე სანიტრების უმრავლესობა სამსახურში დროზე ვერ ცხადდება... საცხოვრებელი აგდიოლის სიშორის გამო. (რაიონებიდან დადიან). გარდა ამისა, სანიტრებად ახლა ბევრი მუშაობს მარტო ცნობისათვის უმაღლეს სასწავლებელში წარსადგენად, აბიტურიენტები არიან და



# ფაქტები • მოვლენები

ქართული ბიბლიოთეკა

## ● ესპანეთი

## კომპარტიის მოთხოვნა

**მადრიდი. ესპანეთის კომუნისტური პარტია მტკიცედ მოითხოვს ქვეყნის გამოსვლას ნატოს ბლოკიდან, მას ეს ნაბიჯი მიაჩნია „შესაძლებლად და აუცილებლად“.** ეს ნათქვამია დოკუმენტში, რომელიც მოიწონა აქ გამართულმა ესპანეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა.

ესპანეთის მონაწილეობა ნატოში, ხაზგასმით არის აღნიშნული დოკუმენტში, ჩაბამს ქვეყანას ალიანსის სამხედრო სტრუქტურაში და უახლოეს ხანში გამოიწვევს ეროვნულ ტერიტორიაზე ბირთვული იარაღის განლაგებას. ესპანეთის კომპარტია ალტერნატივის სახით მოითხოვს ნეიტრალიტეტის აქტიური პოლიტიკის განხორციელებას, ეროვნული სუვერენიტეტის დაცვას.

## შეუძლიათ დატოვონ ლიბია

### საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

**ტრიპოლი. ლიბიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფ ყველა უცხოელს შეუძლია სურვილისამებრ ნებისმიერ დროს დატოვოს ლიბია.**

როგორც ჯანას სააგენტო იუწყება, საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავის განცხადებაში კვლავ აღნიშნა, რომ ყველა უცხოელი, მათ შორის ამერიკელები, ლიბიაში სარგებლობენ ცხოვრების თავისუფლებით, სრული უშიშროების ვითარებაში მიმოსვლის უფლებით. მათ შეუძლიათ, თუ მოისურვებენ, დატოვონ ლიბია. როგორც ცნობილია, პრეზიდენტმა რეიგანმა, გააჩერა რა ანტილიბიური კამპანია, ლიბიაში მომუშავე ამერიკელ მოქალაქეებს უბრძანა დაუყოვნებლივ გამოემგზავრონ ამ ქვეყნიდან, სადაც მათ თითქოს ძალმომრეობისა და ტერორის საფრთხე ელოდეთ, თორემ მათ პატიმრობა და დიდი ფულადი ჯარიმა მოელით.

## ● პაკისტანი

## ფიცხელი ბრძოლები გრძელდება

**ქაბული. ჰაიბერის რაიონში გრძელდება ბრძოლები პაკისტანის რეგულარული არმიის ნაწილებს, რომლებსაც ზურგს უმაგრებენ ავღანეთის მოწინააღმდეგ დუშმანთა ბანდები, და აფრიდისა და შინვარის პუშტუნთა ტომების შეიარაღებულ ქვეგანაყოფებს შორის.** აქ მოსული ცნობების თანახმად, კაჯვარის რაიონში პუშტუნთა რაზმებმა დარტყმა მიაყენეს პაკისტანის ჯარებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი ზარალი განიცადეს და იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ ამ რაიონიდან.

„პაკისტანის მხედრიონი ჩვენს მიწა-წყალზე თარეშობს და უკანონობას სჩადის, ხოცავს უმწეო ბავშვებს, ქალებს, მოხუცებს, ანგრევს და წვავს პუშტუნთა სახლებს. იგი ფეხქვეშ თელავს ისლამის ყველა ნორმას, სპობს მეჩეთებს, წმინდა ადგილებს და აკლდამებს“. — განაცხადა ბაჰთარის სააგენტოსათვის მიცემულ ინტერვიუში აფრიდის ტომის წარმომადგენელმა ხეირხან კუკიხეილმა პუშტუნთა წინააღმდეგ მიმართული ტერორი, ხაზგასმით აღნიშნა მან, ხორცელდება ამერიკის შეერთებული შტატების ლოცვა-კურთხევით, რომელიც პაკისტანის რეჟიმთან ერთად ისწრაფვის პუშტუნთა ბინადრობის ზონა დადაგქციოს ავღანეთის წინააღმდეგ აგრესიის პლაცდარმად. ჩვენთვის ახლანდელ ძნელ სიტუაციაში, განაცხადა ხეირხან კუკიხეილმა, ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ პუშტუნთა ტომებისა და ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მცხოვრებ მათი მოძმეების ბედი საერთოა.

როგორც ბაჰთარის სააგენტო იუწყება, მიზარის რაიონში გაიმართა ვაზირის ტომის მოდახელის კლანის მრავალათასიანი ჯირგა, რომლის მონაწილეებმაც მოითხოვეს, რომ ისლამაბადმა დაუყოვნებლივ გამოიყვანოს ჯარები ჰაიბერიდან. მათ გააფრთხილეს სამხედრო ხელისუფალნი, რომ, თუ ჯარებს არ გამოიყვანენ უმოკლეს ვადებში, ტომები საკადრის პასუხს გასცემენ დამსჯელებს.

## ◆ თურქეთი

## ცხოვრება ძვირდება

**ანკარა. 1985 წელს ინფლაციის ტემპმა თურქეთში 48,2 პროცენტი შეადგინა.** როგორც სტამბოლის სავაჭრო პალატის მოხსენებაშია აღნიშნული, წლის მანძილზე 31,8 პროცენტით გაიზარდა ბინის ქირა. კვების ძირითადი პროდუქტები შარშან 39 პროცენტით გაძვირდა, ხოლო ტანსაცმელი — 47,8 პროცენტით, რეკორდულად — 109 პროცენტით მოიმატა თეატრისა და კინოს, მუზეუმებისა და საგამოფენო დარბაზების ბილეთების ფასებმა.

## ჩვენი კომენტარი

### „საერთო ბაზარი“:

# ახალი წევრები, ახალი პრობლემები

**ახალი** წლიდან ევროპის ეკონომიკური გაერთიანებას — ეგრეთ წოდებულ „საერთო ბაზარს“ ორი ახალი წევრი შეემატა — ესპანეთი და პორტუგალია. ამას წინ უსწრებდა რვა წელიწადზე მეტი ხნის რთული მოლაპარაკება, რომლის წარმატებით დამთავრებას ხელს უშლიდა მრავალი პრობლემა, მონაწილეთა შორის მწვავე უთანხმოებას რომ იწვევდა. ახლა კი, იმის გამო, რომ ეგრეთ წოდებულ „მცირე ევროპაში“ შედის უკვე არა ათი, არამედ თორმეტი სახელმწიფო (ბელგია, დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი, დანია, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ჰოლანდია, საფრანგეთი, გფრ, ესპანეთი, პორტუგალია), ძველ, ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებს ახლები დაემატა.

ევროპის ეკონომიკური გაერთიანების გაფართოებას სოფლის მეურნეობის ბაზარზე კონკურენციის მკვეთრი გამწვავება მოჰყვა, ესპანეთისა და პორტუგალიის აგრარული სექტორის ბევრ პროდუქტს (ზეითუნის ზეთი, ღვინო, ხილი, ზოგიერთი სახეობის ბოსტნეული) აწარმოებენ აგრეთვე საფრანგეთის, იტალიის, საბერძნეთის სამხრეთ რაიონებში, რამაც მკვეთრად გაიღრმავა ამ პროდუქციის „ნამეტის“ პრობლემა „საერთო ბაზარში“. კიდევ უფრო გაძლიერდა წვრილი ფერმერების მეურნეობათა გაკოტრების პროცესი. როგორც საფრანგეთის სოფლის მეპატრონეთა გაერთიანებების ფედერაციის თავჯდომარემ ფ. გიიომმა განაცხადა, ესპანეთისა და პორტუგალიის მიღებას „საერთო ბაზარში“ შეიძლება კატასტროფული შედეგები მოჰყვეს ფრანგი გლეხებისათვის.

თავის მხრივ, ესპანეთისა და პორტუგალიისათვის „საერთო ბაზარში“ შესვლა მრავალი მილიონი დოლარის დაკარგვას მოასწავებს ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ქვეყნებიდან საქონლის იმპორტის დროს საბაჟო ბარიერების გაუქმების გამო. იგი გააძვირებს სამომხმარებლო საქონელს „საერთო ბაზარში“ არსებულ ეგრეთ წოდებულ „დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის“ შემოღების გამო, გააკოტრებს ათასობით სამრეწველო საწარმოსა და ფირმას, რომლებსაც არ ძალუძთ სერიოზული კონკურენცია გაუწიონ მძლავრ დასავლეთევროპულ მონოპოლიებს. არანაკლებ მწარე ხვედრი მოელის ესპანეთისა და პორტუგალიის ათასობით ფერმერთა მეურნეობას იმის გამო, რომ ევროპის ეკონომიკური გაერთიანებაში შესვლისას ისინი იძულებულნი იყვნენ დათანხმებოდნენ სერიოზულ შეზღუდვებს სოფლის მეურნეობის დარგში, რომლებიც მათ თავს მოახვიეს „საერთო ბაზრის“ დანარჩენმა ქვეყნებმა საფრანგეთის, იტალიისა და საბერძნეთის ფერმერებისათვის კონკურენციის შესუსტების მიზნით.

მოკლედ რომ ვთქვათ, ესპანეთისა და პორტუგალიის შესვლამ კიდევ უფრო გაამწვავა გაერთიანების ფინანსური და აგრარული პრობლემები და გაართულა ინტეგრაციის მთელი მექანიზმის მოქმედება. „ათიდან“ „თორმეტზე“ გადასვლით დასავლეთ ევროპამ მხოლოდ გაამრავლა თავისი სიძნელეები. ტყუილად როდი ხუმრობენ მწარედ ახლა დასავლეთ ევროპის დედაქალაქებში, ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ქვეყნებისათვის ერთადერთი საერთო თვისებაა საერთო ეკონომიკური მოუწესრიგებლობა, ძველი პრობლემების საერთო გამწვავება და ახლების გაჩენაო. როგორც ამასთან დაკავშირებით დასავლეთ გერმანიის დპას საგაზეთო აღნიშნავს, „საერთო ბაზრის“ გაფართოებამ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების 13-მილიონიანი უმუშევართა არმია კიდევ 3,5 მილიონი „ზედმეტი ადამიანით“ გაზარდა.

## ფოტოკადრი ადასტურებს

# ბჟოპალი: ტრაგედიიდან მრთი წლის შემდეგ

**ინდოეთი. ერთ წელზე მეტი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ქალაქ ბჰოპალის ძოლს მიცემულ უბნებში ამერიკული ტრანსნაციონალური კორპორაციის „იუნიონ კარბაიდის“ ქარხნის საცავებიდან გაჟონილი შხამიანი გაზის ღრუბელი ჩამოწვა. მოწამვლისაგან ახალთახლობით მცხოვრები დაშავდა, 2,5 ათასზე მეტი კაცი დაიღუპა.**

**მაგრამ ბჰოპალის ტრაგედიის საბოლოო შედეგი დღესაც არ არის დაჯამებული. თითქმის ყოველდღე ტრაგედიის მსხვერპლთა გრძელი სია ახალი სახელებით ივსება. ქალაქის უდიდესი საავადმყოფოს გაზით მოწამლულთა განყოფილება სავსეა მძიმე ავადმყოფებით. აქ ყოველდღიურად დახმარებისათვის 400-500 პაციენტი მოდის, რომლებიც ამბულატორიულად მკურნალობენ. გაზეთების ცნობით, დაშავებულთა რიცხვმა თითქმის 400 ათასს მიაღწია. უმრავლესობას დაზიანებული აქვს ფილტვები, თვალები, საჭმლის მონელებელი ორგანოები, დარღვეული აქვს გულის, თირკმლებისა და ღვიძლის მუშაობა, აღინიშნება ნერვულ-ფსიქიკური მოშლილობანი. სპეციალისტების აზრით, მომაკვდინებელი გაზით მოწამვლის საშინელი შედეგები თავს იჩენს მომდევნო თაობებშიც.**

**სურათზე: მომაკვდავი ახალგაზრდა ქარიმი „ჰამიდიას“ საავადმყოფოს შხამიანი გაზით დაშავებულთა სპეციალურ განყოფილებაში. მის გვერდით არიან აბდულ ქარიმი — მისი მეუღლე და თერმეტი წლის ქალიშვილი, რომლებიც ასევე მოიწამლნენ გაზით, მაგრამ ბედად გადარჩნენ.**

**უკვე ტრადიციად დამკვიდრდა ქართული თეატრის დღის აღნიშვნა ჩვენი რესპუბლიკის, რომელიმე ქალაქში. ამჯერად მასპინძელი ჭიათურა იქნება. და ეს ბუნებრივიც არის, რადგან თეატრის წლევანდელ დღესასწაულთან ერთად აღინიშნება ჭიათურის თეატრის 90 წლისთავი.**

**ეს თარიღი უკვე წუხელ იზეიმეს ქართული მანგანუმის ქალაქში. დღეს კი იქ ეროვნული პროფესიული თეატრის დაარსებისადმი მიძღვნილი საღამო ვაიმართება.**

**ხვალ სტუმარ-მასპინძლები შეხვდებიან ჭიათურელ მშრომელებს.**

# გზა აღმავალი

**საქართველოს** სხვა თეატრებისგან განსხვავებით, ჭიათურის სახელმწიფო თეატრის დაარსება განსაკუთრებულმა ვითარებამ განაპირობა. მანგანუმის მოპოვების განვითარებამ ჭიათურაში დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს მოუყარა თავი, მუშებს თანდათან შეემატა ინტელიგენციაც და დაიწყო ზრუნვა კულტურის კერების შექმნისათვის. გასული საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში არსებობდა სცენისმოყვარეთა ჯგუფები, რომლებშიც ინტელიგენციის წარმომადგენლები, ცალკეული მოხელეები და მათი ოჯახის წევრებიც კი იყვნენ გაერთიანებული; ამ ჯგუფების მოღვაწეობა ძირითადად საქველმოქმედო მიზნებს ემსახურებოდა და ამავე დროს ზრდდა ხალხის თვითშეგნებას, აღვიძებდა ცოდნის მიღების წყურვილს, აფართოებდა განათლების ჰორიზონტს.

გაზეთი „ივერია“ (1894 წ. 16. XII №266) წერდა: „ჭიათურა. კვირას 11 დეკემბერს, ხუროთმოძღვრის გ. დეკანოზიშვილის მეთაურობით გამართეს აქ წარმოდგენა ადგილობრივი სკოლის სასარგებლოდ. წარმოდგენილი იყო „ჩათრევას ჩაყოლა სჯობია“ და „მონადირე“. წარმოდგენას ხალხი ბოლომდე დაესწრო. მოთამაშეთა შორის უმთავრესი ყურადღება თავის მოხდენილი თამაშით მიიქცია ქალბატონმა არდიშვილისამ“.

ცნობა იძლევა იმის საფუძველს, რომ ეს თარიღი მივიჩნიოთ ჭიათურის თეატრალური ცხოვრების დასაწყისად.

ჭიათურაში იმხანად სათეატრო შენობა არ არსებობდა — წარმოდგენები იმართებოდა კერძო სახლებში. შავი ქვის მრეწველთა საბჭომ თავისი სახსრებით მოაწყო სათეატრო დარბაზი ვაჭარ გალუსტოვის დუქნების ქვეშ. მართალია, ამ დარბაზში სცენა და მისი ტექნიკური აღჭურვილობა პრიმიტიული იყო, მაგრამ თეატრის ერთგულ მაყურებელს ესეც აკმაყოფილებდა და დიდ ინტერესს იჩენდა წარმოდგენებისადმი.

შენობას „სახალხო თეატრის“ ეწოდა. სცენისმოყვარეთა მუდმივი წრის ერთ-ერთი ინიციატორი, იმხანად მუშა-მემანქანე გ. ნუცუბიძე იგონებს: „ახლად გახსნილ თეატრში დაიდგა „პატარა კახი“, რასაც თვით ავტორი დიდი მგოსანი აკაკი წერეთელი დაესწრო. ამ საღამოსათვის განსაკუთრებული შრომა იდვა თავის თავზე ირაკლი დეკანოზიშვილმა, რომელმაც სცენის იატაკზე მოაყარა აუარება მიწა, მოიტანა რამდენიმე ათეული ნამდვილი ცოცხალი სიმინდი, ჩაფლა მიწაში და ამნაირად შექმნა სცენაზე ნამდვილი, ცოცხალი ლურჯად მობიბინე ყანა, რამაც მგოსანი აკაკი ძალიან გაახარა“.

„სახალხო თეატრის“ გახსნის შემდეგ ჭიათურაში ხშირად ჩამოდიოდნენ საგასტროლოდ ანდა მოწვევით მსახიობები თბილისიდან და ქუთაისიდან. აქ მართავდნენ წარმოდგენებს შ. დადიანი, ვ. გუნია, ლ. მესხიშვილი, ვ. აბაშიძე, მ. საფაროვა-აბაშიძისა, ნ. გაბუნია, ვ. ურუშაძე, ალ. იმედაშვილი, მ. მდივანი და სხვები, რომელთა სცენაზე გამოჩენა ჭიათურელებს დიდ სიხარულს ანიჭებდა, რასაც ადასტურებს იმდროინდელი პრესის არაერთი გამოხმაურება.

სცენისმოყვარეთა წრეს ძალები თანდათან ემატებოდა და უკვე საჭირო გახდა ამ საქმის ხელმძღვანელი. 1906-1907 წლების სეზონში აქ რეჟისორად და მსახიობად მოწვეული იყო ვალერიან შალიკაშვილი და მასთან ერთად მსახიობი ნატალია ჯავახიშვილი.

პროფესიული თეატრის ჩამოყალიბებამდე აქ საკმაოდ ხშირი იყო რეჟისორთა დენადობა. „ჭიათურის დრამატულმა საზოგადოებამ“, რომელიც 1907 წელს დაარსდა და განაგებდა სცენისმოყვარეთა წრის წარმოდგენებს, რეჟისორად მიიწვია ვ. ურუშაძე, აგრეთვე ახალგაზრდა მსახიობები მ. მდივანი, პ. შოთაძე, ევ. წუწუნავა და სხვანი, ხოლო 1910 წელს — მოსკოვის სამხატვრო თეატრის სარეჟისორო სასწავლებელდამთავრებული ალექსანდრე წუწუნავა, რომელიც უკვე ყურადღებას იქცევდა პროფესიული მონაცემებითა და ნიჭიერებით.

გამოჩენილი მოღვაწეების მუშაობა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართულ თეატრში, რამეთუ ა. წუწუნავა, მ. ქორელი (რომელიც ავრეთვე მოღვაწეობდა ჭიათურაში), ვ. შალიკაშვილი, გარდა პროფესიული ერუდიციისა, თავიანთი მრწამსით ახლოს იდგნენ რეალისტურ ხელოვნებასთან, მოსკოვის სამხატვრო თეატრის პრინციპებთან, ცდილობდნენ მუშაობა ისე წარემართათ, რომ ქართული რეჟისურა განთავისუფლებულიყო აქტიორთა მეურვეობისაგან, თეატრში დამკვიდრებულიყო პროფესიული რეჟისურა, რომელიც მუშაობას წარმართავდა სამსახიობო ხელოვნების გზების გაფართოებისა და თეატრალურ ძიებათა მიმართულებით.

პროფესიული რეჟისურის დონის ამაღლებამ გარკვეული კვალი დაჩნია ჭიათურის თეატრსაც. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა თეატრალური ცხოვრება. თეატრებს დაენიშნათ სახელმწიფო სუბსიდია, გაუჩნდათ მტკიცე მატერიალური ბაზა და მუდმივი შტატი.

პირველ ხანებში ჭიათურაში წარმოდგენების გამგებელი იყო მ. ჭანიშვილი, რეჟისორები — მ. ჭანიშვილი და გ. ხუციუბიძე, მსახიობები—თ. აბაშიძე, ნ. კაკაბაძე, ნ. სიხარულიძე, ბ. გამრეკელი, შ. ვაშაძე, ბ. ლეჟავა, ჭ. მიშველიძე, ხოლო სუფლიორი — აკაკი ბელიაშვილი.

განსაკუთრებით საყურადღებო იყო ჭიათურის თეატრში პ. ფრანგიშვილის მოღვაწეობა, იგი დიდხანს ედგა სათავეში თეატრს. წარმატებებს ხელს უწყობდა ნიჭიერ მსახიობთა დასი — თ. აბაშიძე, ვ. სვანელი, ა. მოსაშვილი, გ. ტყაბლაძე, მ. ვაშაძე, ა. ბარათაშვილი, ბ. დურმიშიძე და სხვები. თეატრისთვის მნიშვნელოვანი იყო 1930 წელს თბილისში მოწყობილი გასტროლები, რომლის გამო გაზეთი „კომუნისტი“ (1930 წლის 25. IV) წერდა: „...ჭიათურის მუშათა თეატრს თავისი ხელმძღვანელის პ. ფრანგიშვილის მეთაურობით ჩაუტარებია დიდი მუშაობა და მიუღწევია საგრძნობი შედეგისათვის. რაც მთავარია, თეატრს დაუწყვია თავი ხალტურისაგან. თეატრი უახლოვდება ჩვენს აკადემიურ თეატრებს. გასტროლებმა დაგვანახვა, რომ ფრანგიშვილის შესწევს უნარი და გამოცდილება თეატრს გაუძღვეს წინ.“

ამ გასტროლებთან დაკავშირებით ს. ახმეტელმა დეპეშა გაუგზავნა პ. ფრანგიშვილს: „ძალიან ვწუხვარ რომ გუშინ, ორშაბათს, თქვენი თეატრის გასტროლების პირველ წარმოდგენას ვერ დავესწარი ავადმყოფობის გამო, გულწრფელი სალამი ჩემი სახელით მთელ თეატრს და ამხანაგებს. ვამაყობ, რომ პირველი ინიციატივა თქვენს ხელთაა გასტროლების გამართვაში. იყავით მუდამ და ყველგან, რაც ყველას გაახარებს. თქვენი სახით ვუსურვებ გამარჯვებას ჭიათურის თეატრს“.

ჭიათურის თეატრმა გაზარდა თავისი მომსახურების რადიუსი, იგი თითქმის ყოველდღიურად ხვდება ქალაქის მუშა-მოსამსახურეებს, ინტელიგენციას, წარმოდგენებს მართავს მაღაროებშიც, ახლომახლო სოფლებში, მაღალმთიან რაიონებში, აკი ამიტომაც სარაიონთაშორისოდ არის ცნობილი.

ჭიათურის თეატრის რეპერტუარი მუდამ გამოირჩევა მთავლფეროვნებით, იმავე დროს ქართული ეროვნული დრამატურგისადმი აყურადღებით. აქ შეიქმნა სპექტაკლები ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ა. ყაზბეგის, ა. ცაგარელის, გ. ერისთავის, მ. ჯავახიშვილის, პ. კაკაბაძის, ს. შანშიაშვილის, მ. ბარათაშვილის, ვ. კანდელაკის, კ. ბუაჩიძის, ი. ჩიჯავაძის, ა. ბელიაშვილის, ი. ვაკელის და სხვათა ნაწარმოებების მიხედვით, ზოგიერთ მათგანს (მ. ბარათაშვილის „ჭრიჭინა“ და გ. ხუხაშვილის „ცხოვრება კაცისა“) დიდი წარმატება და ფართო ასპარეზზე გასვლაც ხვდა წილად. სპექტაკლმა „ცხოვრება კაცისამ“ საკავშირო პრემია დაიმსახურა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სპექტაკლების დათვალიერებაზე. თეატრის რეპერტუარში სპატიო ადგილი უჭირავს რუსულ და მოძმე ხალხთა როგორც თანამედროვე, ისე კლასიკურ ნაწარმოებებს, უცხოურ დრამატურგიას.

ჭიათურის თეატრის ისტორიკოსი გვერდს ვერ აუვლის ს. ცომაიას, გ. სებისკვერაძის, ო. ალექსიშვილის, მ. აბჟანდაძის, ვ. სვანელის, ა. დათებაშვილის, თ. ლოლაძის, გ. ტყაბლაძის, მ. ვაშაძის, ა. ბარათაშვილის, ბ. დურმიშიძის, შ. წერეთლის ღვაწლს მშობლიური თეატრისადმი.

სხვადასხვა დროს ამ თეატრში მუშაობდნენ რეჟისორები: ი. კაკულია, შ. გაწერელია, ი. მაცხონაშვილი, ს. ყიფშიძე, ლ. ბულუხია, რომლებიც ამჟამად რესპუბლიკის სხვადასხვა თეატრში მოღვაწეობენ.

დღეს ამ თეატრში შესანიშნავ აქტიორულ სახეებს ქმნიან ნ. ჩაჩანიძე, ი. ჯიშკარიანი, რ. აბზიანიძე, დ. ჯაფარიძე, ა. ბაქრაძე, რ. ჩაჩანიძე, გ. მოდებაძე, კ. ქამუშაძე, ლ. ხვედელიძე, ი. ტყემალაძე.. ახალგაზრდა მსახიობები, რომლებიც აქტიურად მოღვაწეობენ უფროსი კოლეგების გვერდით.

ამჟამად თეატრის დირექტორია ღვაწლმოსილი მუშაკი ბ. კავთელაძე, მოადგილე. — ა. მიშველაძე. რამდენიმე წელია თეატრის მთავარ რეჟისორად მუშაობს ლევან სვანაძე — ახალგაზრდა ნიჭიერი რეჟისორი, რომელმაც რამდენიმე სეზონზელი ნამუშევრით მთელი რესპუბლიკის თეატრალური საზოგადოების ყურადღება მიიქცია, მაყურებელთა სიყვარული დაიმსახურა.

ერთ საგაზეთო წერილში, რა თქმა უნდა, ძნელია ჭიათურის თეატრის ოთხმოცდაათწლიანი მდიდარი ისტორიის საფუძვლიანი ანალიზი. გვჯერა, რომ ამ ისტორიას კვლავაც ახალი, ნათელი ფურცლები შეემატება. ამის თავდებია მისი ნიჭიერი კოლექტივის ყოველდღიური თავდადებული შემოქმედებითი შრომა, ეროვნული თეატრალური ხელოვნებისადმი უსაზღვრო სიყვარული.

**მ. გოგოლაშვილი,**
**ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.**

# რას გვიამბობენ რელიკვიები

**თბილისი** მემორიალური ადგილებით მდიდარი ქალაქია; ყოველი მემორიალი ჩვენი დედაქალაქის ბიოგრაფიის განუყოფელი ნაწილია.

ახლახან თბილისის კულტურულ ცხოვრებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩაზე № 24 სახლში გაიხსნა ქართული თეატრის გამოჩენილი მოღვაწის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ვალერიან გუნიას მემორიალური ოთახი. სახელოვან ადამიანს ამ სახლში უცხოვრია 1926-38 წლებში. ახლა ამ კერის დიასახლისი მისი უმცროსი ასული, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნონა გუნია გახლავთ; სწორედ მან დაადგა თავი თავისი განსვენებული დის დოდო გუნიას მიერ წამოწყებულ საქმეს და ამით არა მარტო მამაშვილური, არამედ ეროვნული ვალი ასრულა. ამ ოთახში შემოსული ადამიანი ერთ პიროვნებას, ერთ ხელოვანს კი არ ეცნობა მხოლოდ, არამედ ქართული პროფესიული თეატრის უმნიშვნელოვანეს მონაკვეთს დღიდან მისი განახლებისა (1879 წ.). სწორედ მუდმივი ქართული თეატრის 10 წლისთავს მიუძღვნა ვ. გუნიამ თავისი ცნობილი წიგნი „ქართული თეატრი“, რომელიც ახლა იშვიათობაა და ამ ბინა-მუზეუმის რელიკვიაა მისივე „საქართველოს კალენდართან“ და პიესების დაფურცლულ კრებულთან ერთად. აქვეა ვ. გუნიას მიერ ნათარგმნი გოგოლის „რევიზორი“ (გამოცემული 1935 წ.) და ჰაუპტმანის ორმოქმედებიანი დრამა „ავადმყოფი ხალხი“, გამოცემული 1908 წელს. „სუფლიორისაა“ — აწერია ფანქრით ამ ეგზემპლარს.

— ეს სოსო გრიშაშვილის მინაწერია, — ამბობს ნონა გუნია, — ამ ბინაში ბევრ ადამიანს ... ... ...